

საქართველოს კანონი

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I ნაწილი, №14, 2003 წელი, მუხ. 90) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოძალადეს (შემდგომში – მოძალადე) შემაკავებელი და დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამოერთმევა გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება. ჩამორთმეული იარაღი შეინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

2. მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მოძალადეს დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება იარაღის შექენა.“

3. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის კუთვნილი (მათ შორის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) იარაღის შენახვის ან აღნიშნულ პერიოდში მისი დროებით ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება შესაბამისი ორდერით. დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის

შენახვის წესი და პირობები, ასევე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესი და პირობები განსაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.“

4. 27-ე მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის დ¹) ქვეპუნქტი:

„დ¹) ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი პირის მიმართ გამოცემულია დამცავი ან შემაკავებელი ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში“.

5. 27-ე მუხლის მეორე პუნქტის თ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ლიცენზიის (ნებართვის) მადიებელი პირის მიმართ გამოცემულია დამცავი ან შემაკავებელი ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით“.

6. 28-ე მუხლის პირველი პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე) ქვეპუნქტი:

„ე) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოძალადისაგან მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით.“

მუხლი 2. დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოძალადისგან ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების და ასევე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე შესაბამისი წესის დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.